



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1805  
22/10/2018

ქალაქი ბათუმი

1805-05-4-201810221038



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების და კულტურის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 29 მარტის №599 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ქეთევან დევადის 2018 წლის 15 ოქტომბრის №2984-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 08 ოქტომბრის №1765 ბრძანების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების და კულტურის სამსახურის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერილობა) დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 29 მარტის №599 ბრძანებით დამტკიცებულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძველთა დაცვის განყოფილების, განათლების, კულტურისა და ძველთა დაცვის საკითხებში III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი ინსტრუქციაში (სამუშაოს აღწერილობა) შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანახმად დანართისა.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა